პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

1972 წ.
№ 91 (4601)
11 მაისი, ხუთშაბათი,
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტარიელ ჟღენტი ოქროს ლაურეატთა შორის

მადრიდი, 9 მაისი. საბჭოთა სნაიპერებმა დამჯერებლად გაიმარჯვეს ევროპის მესტენდურეთა ჩემპიონატში: უძლიერესთა ტიტულები მოიხვეჭეს იუნიორთა და ქალთა შეჯიბრებებში, აგრეთვე, მრგვალ სტენდზე გუნდურ ჩათვლაში.

იუნიორთა შორის კონტინენტის ჩემპიონი გახდა მოსკოველი ა. სოკოლოვი, რომელმაც ორი დღის ჯამში 144 ქულა დააგროვა 150-დან. ვერცხლის მედალი პოლონელ ჩასკოვსკის ხვდა (142 ქულა), ბრინჯაოსი — შვედ ორტბის (135).

18 წლის ვილნიუსელი ვ. მარკინცევიჩუტე ესპანეთის დედაქალაქში პირველთანრიგოსნად ჩამოვიდა, აქედან კი შინ ევროპის ჩემპიონის რანგში ბრუნდება: ახალგაზრდა სპორტსმენმა ქალმა 150 მფრინავი თეფშიდან 138 გატეხა. II ადგილი დაიკავა ნორვეგიელმა ლინდენმა (137), ხოლო III — ბელგიელმა ფონტეინმა (135).

საბჭოთა ნაკრებს ოქრო მოუტანეს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, სვერდლოვსკელმა ი. ცურანოვმა, მისმა თანაქალაქელმა გ. ხედინკინმა, თბილისელმა ტ. ყღენტმა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა, მოსკოველმა ე. პეტროვმა. მათი შედეგია 580 ქულა 600-დან.

ვერცხლის მედლები დანიელებს ხვდათ (572), ხოლო ბრინჯაოსი — პოლონელებს (568).

გამარჯვების დღეს მიეძღვნა

თბილისის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტი ფაშისტურ ვერმანიასთან ომში გამარჯვების დღის აღსანიშნავად ყოველწლიურად ატარებს ესტაფეტას „ქალაქის წრე“, რომელშიც სპორტსაზოგადოებებისა და უწყებების ნაკრები გუნდები მონაწილეობენ.

გუშინწინაც ასე იყო. გმირთა მოედანზე მოწყობილ სტარტზე პირველ ეტაპზე მოსპარეზე ვატები გამოვიდნენ. ყველა საზოგადოებასა და უწყებას 2-2 გუნდი უნდა გამოეყვანა და საერთო ჩათვლაში გამარჯვებულიც ორივე გუნდის მაჩვენებლების ჯამის მიხედვით ვლინდებოდა.

ტრასაზე (7150 მ) 19 ეტაპი მოეწყო. აქედან ესტაფეტა ერთ (მე-11) ეტაპზე ველოსიპედისტებს უნდა ეტარებინათ, სამზე (მე-3, მე-9 და მე-13) — მძღოლსან ქალებს, სხვა ეტაპები კი მორბენალ ვაჟებს დაეთმოთ.

თავდაპირველად დინამოელები დაწინაურდნენ: ლენინის ქუჩით ესტაფეტა პირველებმა მიიტანეს „კომუნისტის“ რედაქციასთან მოწყობილ მესამე ეტაპზე, შემდეგ უპირატესობას „ბურევესტნიკის“ მძღოლსნები დაუფლნენ: რუსთაველის პროსპექტის, ლენინის მოედნის, პუშკინის, ბარათაშვილის ქუჩების, მტკვრის მარცხენა სანაპიროს, პლეხანოვის პროსპექტის, ჩელიუსკინელთა ქუჩის გავლით გმირთა მოედანზე პირველნი დაბრუნდნენ. სტუდენტთა ნაკრებმა საუკეთესო დრო (17.07,0) აჩვენა, მაგრამ საერთო გამარჯვებისთვის ეს უკმარი აღმოჩნდა.

ორი ნაკრების ჯამში საერთო პირველობა „ლოკომოტივს“ დარჩა. II ადგილზეა „განთიადი“, III — „დინამო“.

• • •

სურათებზე: „ბურევესტნიკის“ სპორტსმენები ერთ-ერთ ეტაპზე; ბრძოლაში ველოსიპედისტებიც ჩაებნენ.

ა. კოტორაშვილის ფოტოები.

ჯემალ მეგრელიშვილი — ჩემპიონი

ულიანოვსკი, 9 მაისი. გუშინ აქ დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატი კლასიკურ ჭიდაობაში. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. შუმაკოვმა, ვ. არუთინიანმა, ფ. მუსტაფინმა, ჯ. მეგრელიშვილმა, შ. ხისამუტდინოვმა, ვ. შკრტიჩევმა, ვ. კოსუხინმა, ვ. რეზანცევმა, ვ. მერკულოვმა, ა. ზელენკომ.

აღსანიშნავია, რომ ტურნირში ყველა უძლიერეს ათლეტს მონაწილეობა არ მიუღია. ამის მიზეზია კატოვიცეში ახლახან დამთავრებული ევროპული ჩემპიონატი, რომლის მონაწილენი გადამწყვეტი ოლიმპიური სამზადისის წინ ისვენებდნენ.

ამ ველოტრეკს თბილისელი გულშემატკივრები დიდი ხანია ელიან. ტრეკი მართლაც პირველხარისხოვანია, უნაკლო, მაგრამ საექსპლოატაციოდ გადაცემამდე მას ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. ფაქტიურად, არსებობს მხოლოდ ხის საფარი, რომელიც მზადაა სპორტსმენთა მისაღებად. მთელი ნაგებობა კი ჯერ მშენებლობის პროცესშია და ვინ იცის, როდის მიიღებს საბოლოო, სრულყოფილ სახეს. მშენებლებმა დიდი და სასარგებლო შრომა გასწიეს: პირველ ყოვლისა ააგეს ის, რაც სავსებით საკმარისია შეჯიბრებების ჩასატარებლად. მაგრამ გვერწმუნეთ, რომ დიდებული ხის საფარი კარგავს ღირსებასა და აეწყ, როცა ირგვლივ ხარაჩოების ტყე და სამშენებლო მასალათა ზვინებია. მოკლედ, მშენებლებმა ერთხელ კიდევ უნდა გამოიჩინონ ვაჟკაცობა და მადლს მარილი მოაყაროონ. რაც უფრო მალე მიიღებს დასრულებულ სახეს თბილისის ახალი ველოტრეკი, მით უფრო მეტ სარგებლობას მოუტანს სპორტსმენებს.

ძველი ველოსტადიონი წლების მანძილზე პირნათლად ემსახურებოდა ველოსიპედისტებს. ახლა მან, ცხადია, დაკარგა მნიშვნელობა, მაგრამ ჩვენი ღრმა რწმენით იგი მაინც უნდა დგეროთ სპორტულ ბაზად და მთლიანად ახალგაზრდა ველოსიპედისტთა აღზრდას დაუკავშირდეთ. ახალი ველოტრეკის ხის საფარი უნიკალური და ძვირადღირებული ნაგებობაა, ახალბედებმა შეიძლება მალე გამოიყენონ მწყობრიდან, ძველი ველოსტადიონი კი კიდევ დიდხანს ივარგებს „შავი სამუშაოსთვის“.

გუშინწინ ახალი ველოტრეკის ნათლობის დღე იყო. თბილისში საკრჯიშოდ მყოფმა სსრ კავშირის სპორტინტერნათა ნაკრებმა და ადგილობრივმა ველოსიპედისტებმა ძალა გამოსცადეს საქართველოს სპორტკავშირის დაწესებული პრიზის გათამაშებაში. ჩატარდა რამდენიმე, წმინდა სპრინტერული რბოლა, მაგრამ, სამწუხაროდ, წვიმის გამო ამ დღის პროგრამა დაუმთავრებელი დარჩა.

მაყურებლები მაინც კმაყოფილი ბრუნდებოდნენ შინ. მათ პირველად მიეცათ ოლიმპიური ნაკრების წევრთა გამოსვლების ნახვის საშუალება. ფავორიტები მაინცდამაინც თავს არ იკლავენ: სამზადისი სამზადისია და არავის სურს რაიმე ბრმა შემთხვევის გამო გამოეთიშოს ყველაზე პასუხსაგებ პერიოდს, რომლის იქითაც მიუნჰენის ბატალიებია დარჩენილი.

პირველი ნათლობა

გიტი 500 მეტრზე სვლით ტულელმა ვ. კოპილოვმა მოიგო — 29,7. II ადგილზე გავიდა კუიბიშეველი სპრინტერი ვ. ტრიფონოვი (29,8), რაზეც სპეციალისტები დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ.

მეორე, ორასმეტრიან გიტში პირველი იყო ოდესელი ა. იაბლუნოვსკი. მის შედეგს — 11,05 — სპეციალისტები და მწვრთნელები სახეგაბრწყინებული შეხვდნენ — ახალი საკავშირო რეკორდი! თბილისის ველოტრეკი ამართლებს ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე სწრაფი ტრეკის სახელწოდებას. ეს ძალიან სასიამოვნოა, მაგრამ ოდესელი ველოსიპედისტის მიღწევას მცირედი განმარტება სჭირდება.

1964 წელს ჩვენმა თანამემამულე ო. ფხაკაძემ 200 მ 11,2 წამში გაიქროლა. ეს შედეგი მაშინ საკავშირო რეკორდი იყო. მერე ბევრმა წყალმა ჩაიარა, სანამ იმავე ფხაკაძემ, უკვე მსოფლიო ექს-ჩემპიონმა, არ გაუმჯობესა ფრანგი დ. მორელონის უმაღლესი მსოფლიო მიღწევა (10,72) და მართლაც ფენომენალური შედეგი მოიპოვა — 10,61. მაგრამ ეს მოხდა მეხიკოში, ქალაქში, რომელიც ზღვის დონიდან 2240 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს. ასე რომ, ფხაკაძის რეკორდს, რომელიც ავტომატურად საკავშირო რეკორდადაც ითვლება, ასე ვთქვათ, სასიმაღლო მნიშვნელობა შემორჩა. იაბლუნოვსკიმ კი გუშინწინ „ბარის“ რეკორდი გაუჯობესა.

რბოლის შემდეგ სსრ კავშირის სპრინტერთა ნაკრების მწვრთნელმა რ. ვარგაშკინმა აგვიხსნა: ამ რეკორდს ხვალვე დასამტკიცებლად გადავუგზავნით ველოსპორტის საკავშირო ფედერაციას. იგი გამოყოფს კომისიას, შეამოწმებს ტრეკს და, თუ საჭიროდ მიჩნევს, დაამტკიცებს კიდეც შედეგს.

ნ. გუგუშვილი.

• • •

სურათზე: ახალი რეკორდმენი ა. იაბლუნოვსკი ასპარეზობისას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

პირველად თეთრებით

რიგა, 10 მაისი (ფოტოდეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინწინ ლატვიის დედაქალაქის რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო მსოფლიო ჩემპიონობაზე ნ. გაფრინდაშვილ — ა. კუშნირის მატჩის წილისყრა. მთავარმა მსაჯმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, სსრ კავშირის ერთ-ერთმა უხუცესმა მოჭადრაკემ ვ. მიკენასმა მსოფლიო ჩემპიონი კონვერტის ასაღებად მიიწვია. ამ კონვერტში ჩადებულ ბარათს უნდა გადაეწყვიტა, ვინ დაიწყებდა წილისყრას. ეს უფლება კუშნირს ხვდა, რომელმაც შავი ფერი ამოიღო. ასე რომ, გაფრინდაშვილი პირველ პარტიას თეთრებით ითამაშებს. საინტერესოა, რომ კუშნირთან მატჩების ისტორიაში ეს პირველი შემთხვევაა, როცა მსოფლიო ჩემპიონი პირველ პარტიას თეთრებით იწყებს.

გუშინ რიგის ოფიცერთა საოლჯო სახლის ოქროს დარბაზში ლატვიის ჭადრაკის ფედერაციის თავმჯდომარემ, რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა, პროფესორმა ვ. კანეკმა მატჩი საზეიმოდ გახსნა. მიკენასმა ჯამსწრეთ მატჩის პირობები გააცნო.

ახალგაზრდობის სახელით მეტოქეებს მიესალმა ლატვიის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ირინა მედნე, ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო კომიტეტის სახელით — სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორი ვ. ბატურინსკი, ფიდე-სა და სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის სახელით — ფიდე-ს ვიცე-პრეზიდენტი პ. როდიონოვი (მოსკოვი).

შემდეგ როდიონოვმა ფიდე-ს დავალებით მატჩი გახსნილად გამოაცხადა. გაისმა სსრ კავშირისა და ლატვიის სახელმწიფო ჰიმნები. პიონერებმა ნონასა და ალას ვარდების თაიგულები მიართვეს. შემდეგ გაიმართა კონცერტი.

დღეს ამავე დარბაზში მეტოქენი თამაშს შეუდგებიან.

თ. გიორგაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

ასპარეზობა-72

● **ნალჩიკი, 9 მაისი.** ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება, თანამედროვე ხუთჭიდში. ასპარეზობდა რსფსრ-ს, უკრაინის, ლატვიის, სომხეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, უზბეკეთისა და მოსკოვის 48 სპორტსმენი. პირად ჩათვლაში 5182 ქულით გაიმარჯვა რსფსრ-ს წარმომადგენელმა, სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ჩემპიონმა ვ. შმელიოვმა, გუნდური საპრიზო ადგილები კი ასე განაწილდა: რსფსრ, მოსკოვი, ყაზახეთი.

● **მოსკოვი, 9 მაისი.** ლენინური კომკავშირის სახელობის საავტომობილო ქარხნის გუნდმა მოიპოვა ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის, მფრინავი-კოსმონავტის ვ. ვოლკოვის სახელობის პრიზი გუშინ დამთავრებულ ტრადიციულ ავტორალიში — „მოსკვიჩი-72“. ძირითად სამდღიან რბოლებში „მოსკვიჩებისა“ და „ვოლგების“ მონაწილეობით (დისტანციის სიგრძე დაახლოებით 3 ათასი კმ) აბსოლუტური პირველობა მოიგო ეკიპაჟმა, რომლის შემადგენლობაში იყვნენ სსრ კავშირის ხუთგზის ჩემპიონი ვ. ბუბნოვი და ა. პეჩონკინი (ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხანა).

ჯუჯენ...

პირველ პარტიაში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა გაფრინდაშვილმა. 28-ე სვლაზე კუშნირმა შეწყვიტა წინააღმდეგობა.



მიიღეთ ჩვენი მოლოცვაც!

ᲙᲝᲛᲣᲚᲐᲠᲘᲣᲚᲘ სპორტული ჟურნალის „ფიზკულტურა ი სპორტის“ აპრილის ნომერს ოომ გადაშლით, თვალში მოგხვდებათ ჩვენი რესპუბლიკის სპორტული ცხოვრებისადმი მიძღვნილი მასალები. მკითხველებს ესაუბრება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე, დაბეჭდილია „ლოკომოტივის“ ნორჩ მშვილდოსანთა სექციის მეცადინეობის, მოფარიკავეთა ვარჯიშისა და სხვა ეპიზოდების ამსახველი ფოტოსურათები. სარედაქციო წერილში ლაპარაკია ქართველ მოფარიკავეთა წარმატებებზე, აღნიშნულია ნ. ასათიანის, გ. კოსტავას, რ. ცირეკიძის, მ. სახვაძის მაღალი ოსტატობა. ჟურნალის ამ ნომერში მოთავსებულია აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხების მეგობრობის ამსახველი მასალები, ხაზგასმულია ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტსმენთა წვლილი საბჭოთა სპორტის განვითარებაში.

აი, ასეთ კეთილ საქმეებს ემსახურება ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“, რომელსაც 12 მაისს დაარსების 50 წელი უსრულდება. საბჭოთა სპორტული პრესის ერთ-ერთი პიონერი „ფიზკულტურა ი სპორტი“ სპორტის მოყვარული მილიონი მკითხველის რჩეული ჟურნალია. იგი მაშინ დაიბადა, როცა ის-ის იყო ფეხს იდგამდა საბჭოთა ფიზკულტურა და სპორტი. ჟურნალმა თავიდანვე სწორი პოზიცია დაიკავა, როცა სსრ კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის მასობრივად დანერგვის, ახალგაზრდობის ფიზიკურად გაკაჟებისთვის ბრძოლა დაიწყო. „ფიზკულტურა ი სპორტის“ ფურცლებზე მკითხველი შეხვდება საბჭოთა და უცხოელ სპორტსმენთა წარმატებების ამსახველ საინტერესო მასალებს — ნარკვევებს, მოთხრობებს, ინტერვიუს. ყველაფერი ეს გადმოცემულია დიდი ცოდნით, სიყვარულით, პროფესიული ოსტატობით.

ჟურნალი დიდ ადგილს უთმობს მასობრივი ფიზკულტურის საბჭოთა ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში დანერგვას, „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარებას და სხვ.

„ფიზკულტურა ი სპორტი“ იბრძვის სპორტში დისკრიმინაციის წინააღმდეგ, მსოფლიოს ქვეყნების სპორტსმენებს მოუწოდებს ძმობისა და მეგობრობისკენ, აღნიშნავს მათს დიდ წვლილს ჩვენს პლანეტაზე მშვიდობის მოწესრიგების საქმეში.

საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი მებაირახტრე ჟურნალი „ფიზკულტურა ი სპორტი“ კვლავაც გაახარებს თავის მკითხველებს ახალი, საინტერესო მასალების გამოქვეყნებით, კიდევ უფრო ხელს შეუწყობს სსრ კავშირში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებას.

გაზეთ „ლელოს“ რედაქცია უერთდება ყველას, ვინც გულით ულოცავს სახელოვან იუბილარს და უსურვებს ჟურნალ „ფიზკულტურა ი სპორტს“ კიდევ უფრო წარმატებით საქმიანობას საბჭოთა სპორტის საკეთილდღეოდ.

მოსწავლეთა საქალაქო ტურნირი მძლეოსნობაში

იმართლა: ათიოდე დღის შემდეგ თითქმის ამავე ასაკის სპორტსმენთა მეორე ტურნირია დაგეგმილი, რომელმაც ფაქტიურად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის საგზურები უნდა გასცეს. ჩვენც ბავშვების გადატვირთვას მოვერიდეთ, რათა ძალა გადამწყვეტი სტარტისთვის შემოენახათო.

სხვა დროს (ძალიან სწირად, ახლაც ასეა) გუნდების ხელმძღვანელები, მწვრთნელები, სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე საქართველოს მძლეოსანთა წარუმატებლობას შეჯიბრებებში იშვიათად მონაწილეობას აბრალებდნენ. ახლა რატომღაც სწირი სტარტები ხელისშემშლელად მიაჩნიათ. რომელი ერთი დავიჯეროთ?

უროს ტყორცნის სექტორში ნამდვილი ფავორიტებიდან ვერავინ ვახილეთ. 200 მეტრზე რბენაში 16 სპორტსმენის მაგიერ მხოლოდ 7 გოგონა მონაწილეობდა. ამავე დისტანციაზე გამარჯვებისთვის 25-ის მაგიერ 12 ვაჟი იბრძოდა. ჭოკით ხტომაში თითქოს 14 ჭაბუკს უნდა ეცადა ძალა, სინამდვილეში კი სარბიელზე 4 სპორტსმენი გამოვიდა, 110 მეტრზე თარჯრბენაში 10-ის მაგიერ 5 მოზარდი ასპარეზობდა, ბირთვის კვრაში განაცხადებით წარმოდგენილი 21 ჭაბუკის მაგიერ მხოლოდ 5 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე. 100 მეტრზე მორბენალ გოგონათა (24) და სიგრძეზე მხტომელ ჭაბუკთა (28) შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებისთვის შესაბამისად იბრძოდა... 12 და 14 სპორტსმენი.

განსაკუთრებით ბევრი მონაწილე „ლოკომოტივისა“ და „ბურევესტნიკის“ გუნდებს აკლდათ, ამიტომაც ყველაზე მეტად სწორედ ამ საზოგადოებათა ნაკრები კოლექტივები დაზარალდნენ.

ტურნირისთვის სათანადოდ ორგანიზებული აღმოჩნდა „განთიადი“, რომელმაც 183,5 ქულით გამარჯვებაც დაისაკუთრა. II ადგილზეა „სპარტაკი“ — 181 ქულა. „ბურევესტნიკი“ 173 ქულით III ადგილს დასჯერდა. თბილისის განათლების განყოფილების მძლეოსნებს მან 0,5 ქულით აჯობა.

ნ. ლაბაძემ („ლოკომოტივი“), რომელმაც ბადროს ტყორცნაში გოგონათა რესპუბლიკური რეკორდი დაამყარა, ყველას აჯობა ბირთვის კვრაშიც — 12,03 მ.

შეჯიბრებაში მოზარდთა კიდევ ერთი ახალი რეკორდი დამყარდა: საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტმა ვ. ხმელიძემ („ბურევესტნიკი“) ბირთვი 16,06 მეტრზე ჰკრა. ეს შედეგი 46 სანტიმეტრით სჯობს უფროსი ასაკის ჭაბუკთა რესპუბლიკურ რეკორდს, რომელიც იმავე ხმელიძემ რამდენიმე დღის წინ მოზარდთა საკავშირო პირველობაში (სოჭი) დაამყარა.

სხვა სახეობებიდან აღსანიშნავია სიმაღლეზე მხტომელთა და სპრინტერთა მაჩვენებლები. ვაჟთა შორის სიმაღლეზე ხტომაში საპრიზო ადგილების ბედი დახარჯული ცდების მეოხებით გადაწყდა, ვინაიდან ა. გუზინმა (განათლების განყოფილება) და ა. კალინინმა („ბურევესტნიკი“) ერთნაირი შედეგები — 185 სმ — აჩვენეს, განთიადელმა ვ. მოზგოვიმ და ზ. შუბინმა (განათლების განყოფილება) კი 180 სმ დაძლიეს.

სამაგიეროდ, გოგონებში მ. კიკნაველიძეს („ლოკომოტივი“). სათანადო წინააღმდეგობა ვერავინ გაუწია და ისიც 160 სმ სიმაღლის ბოდალაბვას დასჯერდა. ამ სახეობაში მეტს ვეღარ ეტყოდით სპარტაკელი ნ. ვლადიმერაშვილისგან, რომლის პირადი რეკორდი 165 სმ-ია. ვლადიმერაშვილს ამ დღეს ვერ იცნობდით: შებორკილი, შეშინებული ხტებოდა და III ადგილს დასჯერდა — 150 სმ (აქ მეორე იყო ბურევესტნიკელი მ. პოლიაკოვა — 155 სმ).

არც შეჯიბრების ორგანიზაციული მხარე იყო დამაკმაყოფილებელი.

გაგაცნობთ სხვა სახეობებში გამარჯვებულებსა და მათს შედეგებს.

ᲒᲝᲒᲝᲜᲔᲑᲘ. **რბენა 100 მ.** თ. ლოლაძე (განათლების განყოფილება) — 12,6; **200 მ.** ს. შადრინა („სპარტაკი“) — 26,8; **400 მ.** ი. ლიგა („დინამო“) — 1.00,3; **800 მ.** ნ. სუდაკოვსკაია (განათლების განყოფილება) — 2.21,7;

3000 მ. ვ. ისმაილოვი — 10.15,8; **5000 მ.** ვ. მელაშვილი — 16.35,0; **2000 მ წინაღობებით.** ი. არჯევანიძე (ყველა — განათლების განყოფილება) — 6.25,2. **110 მ თარჯრბენი.** ლ. ბოლქვაძე (სპორტსკოლა-ინტერნატი) — 16,3. **400 მ თარჯრბენი.** ი. ქადეიშვილი („ბურევესტნიკი“) — 1.00,4. **5 კმ-ზე სპორტული სიარული.** ა. კოკოშვილი — 55.16,3. **სიგრძეზე ხტომა.** ვ. სოროკინი — 682, **სამხტომი.** ბ. კიკნაძე (ყველა — „ბურევესტნიკი“) — 13.96. **ჭოკი.** ა. მარავსკი („სპარტაკი“) — 4 მ. **ბადროს ტყორცნა.** ს. ძუძუკი („ბურევესტნიკი“) — 39,90. **შუბის ტყორცნა.** ნ. ორფანოვი („განთიადი“) — 61,10. **უროს ტყორცნა.** შ. აგიშევი („დინამო“) — 52,38.

Ო. ᲘᲕᲓᲝᲨᲕᲘᲚᲘ.

* * *

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: **რესპუბლიკის რეკორდსმენები მოზარდთა შორის ნ. ლაბაძე და ვ. ხმელიძე ასპარეზობის დროს.**

ა. კოტორაშვილისა და ო. გელაშვილის ფოტოები.

რომელი ერთი დავიჯეროთ?

ფიზკულტურის საქალაქო კომიტეტის თაოსნობით, თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე მაისის დღესასწაულამდე გაიმართა მოსწავლეთა საქალაქო ტურნირი მძლეოსნობაში. ასპარეზობაში სპორტსაზოგადოებისა და უწყებების მოზარდი (1954-56 წლებში დაბადებული) სპორტსმენები მონაწილეობდნენ. განაცხადების თანახმად, შეჯიბრება ხალხმრავალი უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში ბევრ სახეობაში სარბიელზე იმის ნახევარიც არ გამოსულა, რასაც ელოდნენ.

ზოგიერთმა მწვრთნელმა თავი გამართლა: ათიოდე დღის შემდეგ თითქმის ამავე ასაკის სპორტსმენთა მეორე ტურნირია დაგეგმილი, რომელმაც ფაქტიურად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის საგზურები უნდა გასცეს. ჩვენც ბავშვების გადატვირთვას მოვერიდეთ, რათა ძალა გადამწყვეტი სტარტისთვის შემოენახათო.

სხვა დროს (ძალიან სწირად, ახლაც ასეა) გუნდების ხელმძღვანელები, მწვრთნელები, სპორტსმენები საკავშირო სარბიელზე საქართველოს მძლეოსანთა წარუმატებლობას შეჯიბრებებში იშვიათად მონაწილეობას აბრალებდნენ. ახლა რატომღაც სწირი სტარტები ხელისშემშლელად მიაჩნიათ. რომელი ერთი დავიჯეროთ?

უროს ტყორცნის სექტორში ნამდვილი ფავორიტებიდან ვერავინ ვახილეთ. 200 მეტრზე რბენაში 16 სპორტსმენის მაგიერ მხოლოდ 7 გოგონა მონაწილეობდა. ამავე დისტანციაზე გამარჯვებისთვის 25-ის მაგიერ 12 ვაჟი იბრძოდა. ჭოკით ხტომაში თითქოს 14 ჭაბუკს უნდა ეცადა ძალა, სინამდვილეში კი სარბიელზე 4 სპორტსმენი გამოვიდა, 110 მეტრზე თარჯრბენაში 10-ის მაგიერ 5 მოზარდი ასპარეზობდა, ბირთვის კვრაში განაცხადებით წარმოდგენილი 21 ჭაბუკის მაგიერ მხოლოდ 5 სპორტსმენი გამოვიდა სტარტზე. 100 მეტრზე მორბენალ გოგონათა (24) და სიგრძეზე მხტომელ ჭაბუკთა (28) შეჯიბრებებში საპრიზო ადგილებისთვის შესაბამისად იბრძოდა... 12 და 14 სპორტსმენი.



საქალაქო ტურნირიდან

ᲩᲝᲮᲐᲢᲐᲣᲠᲘ

მოჭადრაკეთა გუნდური პირველობა სოფლის ფიზკულტურელთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამის შესაბამისად ჩატარდა. შეჯიბრებაში 18 გუნდი მონაწილეობდა. პირველობა სოფ ხევის გუნდმა მოიპოვა. შემდეგ ადგილებზე არიან სოფლების — ხიდისთავის, სამების, ერკეთისა და დაბლაციხის გუნდები. ვაჟთა შორის უძლიერესის სახელი ხვდა ჯ. ახთიძეს. (ხევი), ქალთა შორის — ნ. დოლიძეს (ხიდისთავი).

დ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲔ,
სოფ. კოხნარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘ

დოსაფის რაიონულმა და საქალაქო კომიტეტებმა ჩაატარეს პირველობა ავტომანქანის ფიგურულ მართვაში, მოტოციკლებით 12 კილომეტრზე რიოლაში, მცირეკალიბრიანი შაშხანით და რეიოლვერით სროლაში. ავტომანქანის ფიგურულ მართვაში I ადგილი დაიკავა თ. გუჯეჯიანმა (ავტომოტოკლუბი). ჭაბუკებში ასევე ავტომოტოკლუბის წევრმა ე. მელიამ იმარჯვა. მოტოციკლებით მოასპარეზეთა შორის უძლიერესი აღმოჩნდა გ. აბშილავა. სროლაში თავი ისახელა ი. ადამიამ (ორივე ქალაქის მილიცია).

* * *

ამას წინათ ზუგდიდელი მოჭადრაკეები ერთდროული ოთამაშის სეანსში შეხვდნენ დიდოსტატ ს. ფლორს. სტუმარმა 10 პარტია მოიგო და სამი წააგო. დიდოსტატს მოუგეს უნგურჰესის ენერგეტიკის განყოფილების მთავარი ენერგეტიკოსის მოადგილემ ვ. კუტალიამ, მე-8 საშუალო სკოლის მასწავლებელმა კ. ჭითანავამ და ოსტატობის კანდიდატმა ნ. შოგირაძემ.

* * *

რაიონის მასწავლებელთა პირველობა ჭადრაკში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. I ადგილი დაიკავა ბაშის რვაწლიანი სკოლის დირექტორმა ვ. კვანჭიანმა, II — ხ. ალმასიამ (ცაიშის საშუალო სკოლა), III — შ. უუფუნიამ (ჭკადუაშის საშუალო სკოლა).

* * *

დამთავრდა ენგურჰესაღლაკომბინატის ჩემპიონატები ჭადრაკსა და შაშში, რომლებიც სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ჭადრაკში ჩემპიონი გახდა კ. ალმასია (საფუარის საამქრო), შაშში — გ. ნაჟყებია (ზუსტ ხელსაწყოთა საამქრო).

კ. ᲤᲘᲤᲘᲐ.

ᲐᲒᲐᲨᲐ

ჩატარდა რაიონის ნორჩ მოჭადრაკეთა და მოშაშეთა გუნდური ჩემპიონატები. საშუალო სკოლების მოჭადრაკეთა ტურნირში, რომელშიც 14 გუნდი მონაწილეობდა, ყველას აჯობა 1-ლი საშუალო სკოლის კოლექტივმა. რვაწლიანი სკოლების ჩემპიონატში 12 გუნდი თამაშობდა. მაიდნის სკოლის წარმომადგენლებმა პირველობა არავის დაუთმეს. საშუალო სკოლებში გუნდური გამარჯვებულის სახელი შაშში აბაშის მე-2 სკოლის ნაკრებმა დაიპაკუთრა, რვაწლიანი სკოლების შეჯიბრებაში — საგვაზაოს სკოლის კოლექტივმა.

რ. ᲭᲐᲜᲢᲣᲠᲘᲐ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გევლოთ, ქუთაისელებო!

ქუთაისი: ცენტრალური სტადიონი. 8 მაისი.

„ტორპედო“ (ქუთაისი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 2:0 (0:0).

„ტორპედო“: კავაზაშვილი, მაზნიაშვილი, რეხვიაშვილი, წვერავა, ფრიდმანი, ოქროპირაშვილი, რ. სილაგაძე, ჭოლაძე, ვეკუა, ჯ. სილაგაძე, ზადიკაშვილი (ლენინოვი).

„მეტალისტი“: სავჩენკო, ზარჩენკო, არისტოვი, მატვიენკო, ტოლსტოი, გუნკოვი, გლები (იგნატენკო), კონოვალოვი, ჩაპლიგინი (ბოკატოვი), მალიავკინი, პანკოვი.

მსაჯი ვ. ფარდმანი (კრასნოდარი).

ქუთაისის ტორპედოელთა მატჩი „მეტალისტთან“ ყოველმხრივ უდიდეს ინტერესს იწვევდა. არსებითად, ეს ლიდერთა შეხვედრა გახლდათ, ვინაიდან II ადგილზე მყოფი ქუთაისელები მხოლოდ ქულით უსწრებდნენ თავიანთ მეტოქეს და საკმარისი იყო თამაშს წარმატებულ სარკოველთათვის მოეტანა, რომ გუნდების განლაგებაც გათამაშების ცხრილში მკვეთრად შეიცვლებოდა. „მეტალისტი“ გამოცდილი სატურნირო მებრძოლია, მუდამ ფორმაშია და ქულას ტყუილად არავის გაატანს. გავიხსენოთ თუნდაც ამ გუნდის უკიდურესად დაძაბული ორი მატჩი საკავშირო თასზე თბილისის „დინამოსთან“, როცა თბილისელებმა ძლივს შეძლეს განმეორებით შეხვედრაში საჭირო ანგარიშით გამარჯვება.

თვით თამაშმა, მისმა მსვლელობამ ნათელყო პროგნოზის სიმართლე: ბრძოლა იყო შეუპოვარი, უშეღავათო. ხარკოველებმა ყველაფერი იღონეს ქულის სახსნელად და „ტორპედოს“ ძნელი გამარჯვება ამ შემთხვევაში მით უფრო სასიამოვნოა, რომ იგი ჩვენი გუნდის საერთო სიძლიერეზე მეტყველებს.

მასპინძლებმა კარგად დაიწყეს მატჩი. პირველმა წუთებმა „მეტალისტის“ კარის ხშირ იერიშებში განვლო, მეკარე სავჩენკოსა და მცველებს თავიდანვე მოუხდათ მძიმე დატვირთვის გადატანა. იყო მომენტები, როცა ვეკუასა და ზადიკაშვილს ზედიზედ მიეცათ ანგარიშის გახსნის რეალური შესაძლებლობა.

მაგრამ ამ სადებიუტო იერიშებს მალე მოჰყვა ბურთის ზედმეტი ტარება, გაუმართლებელი დაყოვნებანი შუა მინდორში. „ტორპედოს“ ნახევარმცველები დიდ დროს კარგავდნენ იერიშის მომზადებისას, ანელებდნენ ტემპს და ამან საშუალება მისცა სარკოველებს მოეწესრიგებინათ დაცვის თამაში. შემდგომში, ტაიმის დასასრულისთვის, „მეტალისტს“ უკვე შეეძლო კონტრშეტევაზეც ეფიქრა, რასაც იგი სწრაფად და უნარიანად აკეთებდა. 30-ე წუთზე ჩაპლიგინის დარტყმა სულ ოდნავ ასცდა მიზანს, შემდეგ გუნკოვმა ძელს მოახვედრა ბურთი. ამ პერიოდში ძლიერად, უშეცდომოდ ითამაშეს „ტორპედოს“ მცველებმა, განსაკუთრებით, რეხვიაშვილმა და წვერავამ.

პირველ ნახევარში დაშვებული შეცდომები ტორპედოელებმა კარგად გითვალისწინეს შესვენების შემდეგ: უფრო გეგმიანად, რაციონალურად წარმართეს თამაში. კერძოდ, ნახევარდაცვამ შეძლო კონტაქტის დამყარება თავდასხმასთან, სტუმრების მასირებული დაცვის პირობებში მასპინძლებმა რამდენიმეჯერ შორიდან სახიფათოდ დაარტყეს, საიერიშო კომბინაციებში წვერავაც მონაწილეობდა.

და მაინც, გოლი არ ჩანდა. „ტორპედოს“ მწვრთნელებმა მინდორზე გამოიყვანეს ლენიოვი და ამ შეცვლამ მაშინვე, იმავე წუთს გამოიღო შედეგი: მარჯვენა ფლანგზე გათამაშებული ბურთი გადაეცა ცენტრში, აქ სწრაფად შემოიპრა ლენიოვი და მისმა პირველივე დარტყმამ მიაღწია მიზანს — ბურთი გავიდა „ცხრიანში“, ისე, რომ სავჩენკო უძლური იყო რამე ეღონა.

ამ გოლმა ტორპედოელთა თამაშში მეტი სიზუსტე და დამაჯერებლობა შეიტანა. ტემპმა იმატა, გუნდი თითქმის მთლიანად გადავიდა სტუმრების ნახევარზე და მალე, 70-ე წუთზე, მეტალისტთა კარში მეორე ბურთიც აღმოჩნდა. მაგრამ გოლიც არის და გოლიც. ეს კომბინაცია გათამაშდა მაღალი ოსტატობით, როგორც იტყვიან, საქმის დიდი პროფესიული ცოდნით: რ. სილაგაძემ მარცხნიდან მიაწოდა ბურთი, მან თავს ზემოთ გადაუარა რამდენიმე მოთამაშეს და მიაღწია ჭოლაძემდე. ქუთაისელმა ნამდვილ აკრობატულ ნახტომში ბრწყინვალედ დაარტყა.

ქუთაისის „ტორპედოს“ ახლა კარგი მდგომარეობა აქვს გათამაშების ცხრილში და ვიმედოვნებთ, გუნდი ყველაფერს გააკეთებს იმ საპატიო მიზნის მისაღწევად, რომლისკენაც უკვე გადადგმულია პირველი ნაბიჯები: ესაა უმაღლეს ლიგაში დაბრუნება.

ბ. ქორქია.
(ჩვენი სპეც. კორ).



გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ტორპედო“	6	5	0	1	11—2	10
„შახტ.“ (დან.)	7	3	4	0	11—3	10
„შინიკი“	7	4	2	1	6—2	10
„ფაცთაქორი“	7	4	2	1	7—4	10
„ჩერნომორეცი“	7	3	2	2	13—7	8
„შახტ.“ (ყარ.)	7	2	4	1	7—6	8
„ზვეზდა“	6	2	3	1	4—3	7
„სპარტაკი“	7	3	1	3	8—8	7
„მეტალისტი“	7	2	3	2	6—7	7
„კრივბასი“	7	2	3	2	8—11	7
„პამირი“	7	2	3	2	5—9	7
„ალგა“	7	1	4	2	6—4	6
„კრ. სოვეტ.“	6	0	6	0	7—7	6
„ავტომობ.“	6	1	4	1	6—6	6
„ურალმაში“	7	1	3	3	8—9	5
„მეტალურგი“	7	1	3	3	7—8	5
„სტროიტელი“	7	2	1	4	6—10	5
„ნისტრუ“	7	2	1	4	2—7	5
„დინამო“	6	1	1	4	3—10	3
„ტექსტილ.“	6	0	2	4	5—13	2

სტატისტიკოსის გლოკნოტები

საკავშირო ჩემპიონატის განგლილი ტურის მატჩების ანგარიში ჩვენ რამდენიმე გოლის ავტორი მითითებული არ გვყავდა.

„ზარიასი“ და „ზენიტის“ მატჩში ლენინგრადელთა მხრივ ბურთი გაიტანა დერემოვმა, როსტოველთა კარში ორი გოლი გაიტანეს ფედოტოვმა და ტელინგერმა.

„კარპატისა“ და „ლოკომოტივის“ მატჩში „ჰეტ-თრიკი“ შეასრულა ლევოველმა სავკამ — გაიტანა 3 ბურთი. ამ თამაშში დინამოშნა 2 პენალტი. მოსკოველმა ვაშჩენკოვმა ზუსტად გამოიყენა დარტყმა, ლვოველმა ლიხაჩოვმა კი ვერა.

* * *

კიევისა და მინსკის დინამოელთა 2 მაისის მატჩში მინსკელი გირკო მინდვრიდან გაამეორეს. ეს პირველი გაძევებაა წლეულს უმაღლეს ლიგაში.

* * *

ქუთაისის „ტორპედომ“, როგორც ცნობილია, ოდესაში დაამარცხა „ჩერნომორეცი“ — 1:0. ეს გოლი ვეკუამ გაიტანა.

6 მაისს გაიმართა მორიგი ტურის შეხვედრები: „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „ზვეზდა“ (ტირასპოლი) 2:1, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 2:3, „შრომითი რეზერვები“ (კურსკი) — „კალიტვა“ (ბელაია კალიტვა) 1:1, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „ყუბანი“ (კრასნოდარი) 1:0, „დინამო“ (ბათუმი) — „გურია“ (ლანჩხუთი) 1:0, „მერცხალი“ (ზესტაფონი) — „კოლხეთი“ (ფოთი) 1.0, „მაშინოსტროიტელი“ (პოდოლსკი) — „სპარტაკი“ (ორიოლი) 0:0.

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 11 მაისისთვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„მერცხალი“ (მახარაძე)	4	4	0	0	6—1	8
„მეტალურგი“ (ლიპეცკი)	4	3	1	0	6—1	7
„ტრუბინი“ (კრასნოდარი)	4	3	0	1	9—1	6
„დინამო“ (ბათუმი)	3	2	1	0	6—2	5
„დრუჟბა“ (მაიკოპი)	4	2	1	1	4—1	5
„სალუტი“ (ბელგოროდი)	4	2	1	1	4—3	5
„ტრუდი“ (ვორონეჟი)	4	1	2	1	4—4	4
„დინამო“ (ბრიანსკი)	3	2	0	1	4—4	4
„დილა“ (გორი)	4	1	2	1	3—3	4
„მეტალურგი“ (რუსთავი)	3	1	1	1	3—3	3
„ხიმიკი“ (ნოვომოსკოვსკი)	3	1	1	1	2—4	3
„მაშინოსტროიტელი“ (პოდოლ.)	3	1	1	1	1—3	3
„დინამო“ (სოხუმი)	4	1	1	2	3—6	3
„ზვეზდა“ (ტირასპოლი)	3	1	0	2	2—3	2
„კალიტვა“ (ბელაია კალიტვა)	4	0	2	2	3—5	2
„სპარტაკი“ (ორიოლი)	4	0	2	2	0—2	2
„კოლხეთი“ (ფოთი)	4	0	2	2	1—5	2
„გურია“ (ლანჩხუთი)	4	0	1	3	2—6	1
„შრომითი რეზერვები“ (კურსკი)	4	0	1	3	1—7	1



ასე დამთავრდა: „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) 2:1, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „შინიკი“ — [illegible] 0:0, „შახტიორი“ (დონეცკი) — „დინამო“ (ლენინგრადი) 4:0, „ალგა“ (ფრუნზე) — „კრივბასი“ (კრივოი როგი) 4:0, „პამირი“ (დუშანბე) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე) 2:1, „სტროიტელი“ (აშხაბადი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:2, „ფაცთაქორი“ (ტაშკენტი) — „ნისტრუ“ (კიშინიოვი) 2:0, „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) — „შახტიორი“ (ყარაგანდა) 1:1.

მშვიდად შეჯყურიბენ

წლევანდელ თბილისურ მაისს თამამად შეიძლება საჩოგბურთო ეწოდოს. როგორც კი „დინამოს“ საჩოგბურთო სტადიონზე დამთავრდა დევისის თასის გათამაშების პროგრამით გათვალისწინებული მატჩი სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს შორის, მეორე დღესვე საბჭოთის უძლიერეს ჩოგბურთელთა ტურნირი დაწყო. ამ შეჯიბრების ფორმულა ასეთია: 6 ჩოგბურთელი ქალი წრიული სისტემით გაითამაშებს პირველობას, ხოლო 8 ვაჟი ორ ქვეჯგუფადაა დაყოფილი. ქვეჯგუფებში ჩოგბურთელები წრიული სისტემით იასპარეზებენ, მერე კი ქვეჯგუფებში გამარჯვებულთა შორის გაიკვეთება უძლიერესის ვინაობა, II ადგილებზე გასულნი III ადგილისთვის იბრძოლებენ და ა. შ.

ქალთა ტურნირში მონაწილეობენ ე. ბირიუკოვა (ბაკო), ა. ერემეევა (ლენინგრადი), მ. წუვირინა (მოსკოვი), ა. ივანოვა, ნ. თუხარელი და ო. პაპაიანი (სამივე — თბილისი). სხვადასხვა მიზეზის გამო თბილისში ვერ ჩამოვიდნენ მოსკოველი ო. მოროზოვა, კიეველი გ. ბაშეევა, ალმაათელი მ. კროშინა და ამან, ბუნებრივია, ქალთა ტურნირისადმი ინტერესი ერთგვაროვად შეანელა.

გუშინწინ ქალებმა I ტურის შეხვედრები გამართეს. აღსანიშნავია თუხარელისა და ივანოვას ორთაბრძოლა. 1971 წლის კლასიფიკაციით ივანოვა სსრ კავშირის უძლიერესთა ათეულში შედის, ამდენად ყველა მოელოდა, რომ მას გარკვეული უპირატესობა ექნებოდა, მაგრამ თუხარელმა პროგნოზებს ანგარიში არ გაუწია და ლამაზად სძლია აღიარებულ მეტოქეს— 6:2, 6:4. როგორც მოსალოდნელი იყო, მოსკოვის წლევანდელ საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებულმა მირიუკოვამ იოლად დაამარცხა პაპაიანი — 6:2, 6:2. ჩუვირინასა და ერემეევას შეხვედრაში მოსკოველმა პირველი ხელი ადვილად მოიგო (6:2), მაგრამ მეორე პარტიაში ბრძოლა ერთობ გამწვავდა. საბოლოოდ მაინც ჩუვირინამ იმარჯვა (9:6), რომელიც ამ მატჩში უფრო ოსტატურად და საზრიანად მოქმედებდა.

ვაჟთა გათამაშების პირველ ქვეჯგუფში თბილისელმა ა. მეტრეველმა დამარჯერელად დაამარცხა ლენინგრადელი ა. ივანოვი — 6:4, 6:2, 6:2, ხოლო მოსკოველმა ა. ვოლკოვმა — როსტოველი ე. ბობოედოვი — 6:4, 6:0, 6:4.

მეორე ქვეჯგუფში დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს ბაკოელმა ს. ლიხაჩოვმა და ტალინელმა თ. ლეიუსმა. პირველი ხელის მოგებისთვის ლეიუსს დიდი ჯაფა არ დასჭირვებია (6:3). შემდეგ ტალინელმა ვეღარ გატეხა ლიხაჩოვის შეუპოვარი წინააღმდეგობა, ლიხაჩოვი ინიციატივას დაეუფლა და საბოლოო გამარჯვებაც მას დარჩა (8:6, 6:1, 11:9). ბაკოელისთვის ეს ორმაგი ზეიმი იყო: ტურნირის პირველი შეხვედრის მოგება და, საერთოდ, ლეიუსთან წლების მანძილზე გამართულ შეხვედრებში პირველი გამარჯვება. ეს თავისთავად მნიშვნელოვანია ლიხაჩოვისთვის, მაგრამ ნიშანდობლივია ისიც, რომ ლეიუსის თამაშის კლასი საგრძნობლად დაქვეითდა. ერთეულთა შეხვედრებში არც ლიხაჩოვი ბრწყინავს. და აი, ერთიც და მეორეც საბჭოთა ნაკრების წევრია. თუ ლიხაჩოვი ნაკრებში თავის როლს შესანიშნავად ართმევს თავს და მეტრეველის ღირსეული თანამეწყვილეა, ლეიუსის თამაშის კლასი იმდენად დაკნინდა, რომ ნაკრებში რაიმე სარგებლობის მოტანა უკვე აღარ შეუძლია. რას იზამ, ხანი თავის კვალს აჩენს სპორტსმენს, მაგრამ გაკვირვებას იწვევს ის, რომ საბჭოთა ჩოგბურთის მეშვეურები შექმნილ მდგომარეობას მშვიდად შეჰყურებენ და თითს თითზე არ აკარებენ ნაკრების გადასახალისებლად. შეიძლება შემოგვედაონ, ახალგაზრდებს შორის ჯერ არავინ გვყავს ისეთი, რომელიც მეტრეველს აუბამდეს მხარსო. შეიძლება, მაგრამ ვინც გვყავს, მათს დაოსტატებაზეც უნდა ვიზრუნოთ, გაბედულად უნდა მოვსინჯოთ მათი ძალები, უცხოეთის საუკეთესო ჩოგბურთელებთან თამაშის საშუალება მივცეთ და თანდათან სასურველ შედეგსაც მივიღებთ. რა სჯობს, უკვე უპირსპექტივო სპორტსმენის ნაკრებში უსარგებლოდ ყოფნა, თუ შედარებით პერსპექტიული და ბრძოლისუნარიანი ჩოგბურთელის თამამად გამოყვანა სარბიელზე?

ამ თვალსაზრისით განვიხილოთ გუშინწინდელი შეხვედრა თბილისელ თ. კაკულიასა და მოსკოველ ვ. კორტკოვს შორის. კაკულიამ საბჭოთა ნაკრების მეორე ჩოგანს ზედიზედ ორი ხელი მოუგო და თანაც როგორ — 6:1, 6.2. დასანანია, რომ უეცრად წამოსული წვიმის გამო მატჩი გადიდო. როგორც უნდა დამთავრდეს ეს შეხვედრა, ცხადია, რომ კაკულიას შეხწევს საბჭოთა ჩოგბურთში აქამდე აღიარებულ სპორტსმენებთან შეუპოვარი ბრძოლისა და, რაც მთავარია, გამარჯვების უნარიც. არ უნდა დავიწყოთ ისიც, რომ კაკულიას ამ ბოლო წლებში რამდენიმეჯერ დაუმარცხებია არა მარტო კორტკოვი, არამედ ბევრი სხვა ძლიერი ჩოგბურთელიც. ისე ნუ გავიგებთ, თითქოს საკავშირო ჩოგბურთის მეხვეურთა საქმეში ჩარევა გვსურდეს და ნაკრების ესა თუ ის ახლანდელი წევრი მაინც და მაინც კაკულიამ უნდა შეცვალოს. კაკულია მხოლოდ ერთი დამაჯერებელი მაგალითია. მის გარდა სხვებიც არიან.

ჯ. ენუქიძე.



გაიმართა მორიგი ტურის მატჩები. იმის გამო, რომ ბობოედოვი ავად გახდა და მეტრეველთან სათამაშოდ არ გამოცხადდა, მეტრეველს მოგება ჩაეთვალა. კაკულიამ დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ლეიუსი — 6:3, 4:6, 8:6, 9:7, ვოლკოვმა — ივანოვი — 6:3, 6:1, 6:2. ქალთა ტურნირის ორი მატჩი ასე დამთავრდა: თუხარელმა მოუგო პაპაიანს — 7:5, 7:5, ერემეევამ — ივანოვას — 6:1, 6:2.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲩᲝᲒᲘ ᲠᲐᲛ ᲓᲔᲕᲘᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲖᲔ

„ლელოს“ თბილისელი მკითხველები ბ. ᲑᲝᲫᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, ბ. ᲘᲐᲜᲥᲝᲨᲕᲘᲚᲘ და უ. ᲐᲚᲚᲐᲫᲔ გვეკითხებიან, როგორია დევისის თასის წლევანდელი გათამაშების კალენდარი. მათვე აინტერესებთ ამ გათამაშების დებულების ზოგიერთი პუნქტის შინაარსი. ჩვენი მკითხველების თხოვნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის ჩოგბურთის განყოფილების გამგეს ᲗᲐᲛᲐᲠ ᲙᲝᲚᲔᲒᲝᲜᲘᲡᲐᲘᲡ გადავეცით. აი, რა გვიპასუხა მან:

● წლების განმავლობაში დევისის თასის გათამაშების დროს აკრძალული იყო ხის ან პლასტიკური მასალის იატაკიან კორტებზე თამაში. ასეთ კორტებზე მატჩის გამართვა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ ორივე გუნდი თანხმობას განაცხადებდა. 1972 წლიდან დახურულ ან პლასტიკურიატაკიან კორტებზე თამაში დაშვებულია.

● თუ გადადებული შეხვედრის დამთავრებისას 15 გემიზე მეტი ითამაშა, ჩოგბურთელი იმავე დღეს, შემდეგნო — წყვილთა მატჩში ვეღარ გამოვა. თუმცა, აქაც არის გამონაკლისი: ჩოგბურთელი დაიშვება მომდევნო მატჩის სათამაშოდ, თუ მეტოქე გუნდების კაპიტნები თანახმა არიან. მაგრამ ამ შემთხვევაში შეხვედრებს შორის ორსაათიანი შესვენება უნდა მოეწყოს. გამონაკლისის სახით და კაპიტნების თანხმობით შესვენების დროის შემცირებაც შეიძლება.

● ორიოდე სიტყვა დევისის თასის წლევანდელი გათამაშების კალენდარზე. შექმნილია ევროპის ორი ზონა: „ა“ და „ბ“. გარდა ამისა, დევისის თასის გათამაშების საწყისი ეტაპი აზიის და ამერიკის ზონებშიც ეწყობა. ევროპის ზონებში დაიშვებიან აფრიკისა (რაოდენობა განუსაზღვრელია) და სხვა კონტინენტების ქვეყნებიც (არა უმეტეს 4-ისა). პირველი წაგების შემდეგ გუნდი შეჯიბრებას ეთიშება. კენტისყრის შემდეგ ევროპის ზონებში გუნდები ასე დაწყვილდნენ: „ა“ ზონა. რუმინეთი — შვეიცარია, ისრაელსა და ირანს შორის გამარჯვებული — ეგვიპტე, იტალია — ავსტრია, ჰოლანდია — ნორვეგია, იუგოსლავია — პოლონეთი, ფინეთი — დანია, სსრ კავშირი — უნგრეთი, ლიბანი — მაროკო; „ბ“ ზონა. ლუქსემბურგი — მონაკო, პორტუგალია — უმეტოქეოდ (აქ იყო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, მაგრამ რასისტულ ქვეყანას ავკრძალა თასის გათამაშებაში მონაწილეობა და, ბუნებრივია, პორტუგალიელები მომდევნო წრეში ითამაშებენ), საფრანგეთი — დიდი ბრიტანეთი, ბულგარეთი — ესპანეთი, ირლანდია — თურქეთი, საბერძნეთი — გფრ, შვეიცია — ახალი ზელანდია, ბელგია — ჩეხოსლოვაკია.

ევროპულ ზონებში პირველი წრის შეხვედრები უკვე ჩატარდა, მეორე წრის მატჩები (მეოთხედფინალები) გაიმართება 29 მაისამდე, მესამე წრისა (ნახევარფინალები) — 19 ივნისამდე, მეოთხე წრისა (ფინალები) — 24 ივლისამდე. ევროპული „ა“ ზონის გამარჯვებული აზიის ზონაში უძლიერესს შეხვდება, ევროპული „ბ“ ზონის გამარჯვებული — ამერიკულ ზონაში უძლიერესს. ეს საზონათშორისო მატჩები ნოემბრამდე უნდა ჩატარდეს, ამის მერე — 31 დეკემბრამდე ბოლო, გადამწყვეტი შეხვედრა უნდა გაიმართოს.

ახალ პრეტენდენტთა ლაშქარი

ამჟამინდელი „ჰადრაკის მეფის", საბჭოთა დიდოსტატ ბორის სპასკის მატჩი მსოფლიო პირველობაზე ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ... პლანეტის უპირველესი მოჰადრაკის ტიტულისთვის ბრძოლის მომდევნო ციკლმა სტარტი უკვე აიღო: დაიწყო ახალი „სამწლეული", რომელიც 1975 წლისთვის საჰადრაკო გვირგვინის ახალ პრეტენდენტს გამოავლენს.

ამჯერად ეს შეჯიბრება ცოტა შეცელილი წესებით ტარდება. თუ უწინ ბრძოლის პირველი ეტაპი ზონალური ტურნირები იყო, ახლა მათ წინ უსწრებს ეგრეთ წოდებული წინასწარი მატჩები ორი ქვეყნის წარმომადგენელთა შორის, რომელთაგან საუკეთესოს ზონის საგზური ეძლევა.

მაგალითად, ამას წინათ ბუდაპეშტში, ერთმანეთს შეხვდნენ იუგოსლავიელი დიდოსტატი მ. მატულოვიჩი და უნგრელი ოსტატი ბ. ტატი. გათამაშდა ოთხი პარტია. პირველი, მეორე და მეოთხე პარტიები დიდოსტატმა მოიგო, მესამე კი ოსტატმა.

... მსოფლიოში ათი საჰადრაკო ზონაა და აქედან სამი ევროპაზე მოდის. პირველ ზონაში შედიან: ინგლისი, ანდორა, ბელგია, გერნსის კუნძულები, ირლანდია, ესპანეთი, იტალია, ლუქსემბურგი, მაროკო, მონაკო, ნიდერლანდები, პორტუგალია, როდეზია, ტუნისი, საფრანგეთი, შვეიცარია, შოტლანდია, უელსი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა. მეორე ზონის წარმომადგენლები არიან ავსტრია, გდრ, დანია, ისლანდია, ნორვეგია, ფარერის კუნძულები, გფრ, ფინეთი, შვეცია. მესამე ზონის შემადგენლობა ასეთია: ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, საბერძნეთი, კიპროსი, ლიბანი, მალტა, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია.

ამ სახელმწიფოებიდან ზოგიერთს ზონალურ ტურნირებში უკვე გარკვეული წარმომადგენლები ყავს, ზოგიერთს — მარტო წინასწარი მატჩების მონაწილენი, ზოგსაც კი ერთიცა და მეორეც.

ევროპის ერთი ზონალური შეჯიბრება, როგორც ცნობილია, უკვე მოეწყო იუგოსლავიის ქალაქ ვრნიჩკა-ბანიაში. ბედმა გაუღიმა ერთ-ერთ მასპინძელს ი. რუკავინას და ჩეხოსლოვაკიელ სტუმარს ი. სმეიკალს. ორივემ 9-9 ქულა მოაგროვა 13 შესაძლებლიდან. რუკავინამ საერთაშორისო ოსტატის ტიტული მიიღო (მას არც ერთი შეხვედრა არ წაუგია), სმეიკალმა კი საერთაშორისო დიდოსტატისა. ორივე ბრძოლის საზონთაშორისო ეტაპზე გავიდა.

ცოტა უფრო ადრე ბოგოტაში (კოლუმბია) მეშვიდე ზონის ტურნირი ჩატარდა (აქ დაყოფა მკვეთრია — ცენტრალური ამერიკისა და კარიბის აუზის ქვეყნები). ევროპის ტურნირებისგან განსხვავებით, როგორც რეგლამენტითაც იყო გათვალისწინებული, ამ დათვალიერებამ მხოლოდ საზონთშორისო შეჯიბრების ერთი მონაწილე დაასახელა. ესაა კოლუმბიელი მიგელ კუელიარ გაჩარნა, რომელმაც საერთაშორისო ოსტატის წოდება მოიპოვა. მისი შედეგია 12,5 ქულა 16 შესაძლებლიდან.

დავასახელოთ სხვა ზონების შემადგენლობანი: მერვე — არგენტინა, ბოლივია, ბრაზილია, პარაგვაი, პერუ, ურუგვაი, ჩილი; მეცხრე — ისრაელი, ინდოეთი, ირანი, მონგოლეთი, თურქეთი; მეათე — ავსტრალია, ჰონკონგი, ინდონეზია, მალაიზია, ახალი ზელანდია, სინგაპური, ტაილანდი, ფილიპინები, იაპონია. რაც შეეხება მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ზონებს, თითოეული მათგანი შესაბამისად ეკუთვნის სსრ კავშირს, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადას.

პირველი, მეორე, მესამე, მეხუთე და მერვე ზონებიდან საზონთშორისო ეტაპის საგზური ეძლევა ორ-ორ როჰადრაკეს, მეოთხე ზონიდან — სამს, მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე და მეათე ზონებიდან — თითოს.

საზონთშორისო ტურნირებში (ახლა ერთის მაგიერ ორი ასეთი შეჯიბრება ჩატარდება) მონაწილეობის უფლება ახლანდელ ციკლში აქვთ პრეტენდენტთა წინა ტურნირის ყველა მონაწილეს, უძლიერესს ბოლო სამი წლის მანძილზე ჭაბუკთა შორის მსოფლიო ჩემპიონებიდან, პერსონალურად მიწვეულ უძლიერეს მოჰადრაკეებს — ბოლო სამი წლის შედეგების მიხედვით. სულ 32 კაცი გამოდის.

სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონატი, რომელიც ამავე დროს მსოფლიო პირველობის ზონალური შეჯიბრებაცაა, ჯერ წინ არის. მიუხედავად ამისა, ორი საზონთშორისო ტურნირის მონაწილეთა რიცხვში უკვე ცხრა საბჭოთა დიდოსტატი მოხვდა. ესენი არიან ვ. კორჩნოი, ე. გულერი, მ. ტაიმანოვი, ა. კარპოვი, ვ. სმისლოვი, მ. ტალი, ლ. პოლუგაევსკი, პ. კერესი, ლ. შტეინი. კიდევ სამმა მოჰადრაკემ საგზური საკავშირო ჩემპიონატში უნდა მოიპოვოს.

საზონთშორისო ტურნირებში ითამაშებენ, აგრეთვე, ბ. ლარსენი (დანია), ვ. ულმანი (გდრ), რ. ჰიუბნერი (გფრ), ლ. პორტიში (უნგრეთი), ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) და ს. გლიგორიჩი (იუგოსლავია).

თუ ამ სიას დავუმატებთ რუკავინას, სმეიკალს და მიგელ კუელიარ გაჩარნას, გამოდის, რომ საზონთშორისო ტურნირის მონაწილეთაგან უცნობი მხოლოდ 14 კაცია.

საზონთშორისო ტურნირებიდან პირველ სამ ადგილზე გასულები, აგრეთვე, წინა ციკლის ფინალში გასული პრეტენდენტები და მსოფლიო ჩემპიონი (თუ, ცხადია, ტიტულს დათმობს) პრეტენდენტთა სამატჩო შეჯიბრების მონაწილეები ხდებიან. მსოფლიო ჩემპიონატის ამ ეტაპზეც ერთი სიახლეა: მატჩის ჩათვლაში ახლა მხოლოდ მოგება შედის, ყაიმები არ ითვლება და პარტიების რიცხვიც შეუზღუდავია. მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვებისთვის აუცილებელია სამი პარტიის მოგება, ნახევარფინალში — ოთხი, ფინალში კი ხუთი პარტიისა. მსოფლიო პირველობაზე მატჩის დასამთავრებლად ერთ-ერთმა მეტოქემ ექვსი გამარჯვება უნდა ზოიპოვოს.

მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ შორს არის. ახლა, რასაკვირველია, ყველაზე საყურადღებო სპასკისა და ფიშერის მომავალი მატჩია.

ვ. ბაბკინი.
(საკდესის კორ.).

ლიდერობს დაღესტანი

საქართველოს მოჰადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გაიმართა კიდევ ორი ტური.

III ტური: ა. ბალავაძე (რუსთავი) — დ. გედევანიშვილი (თბილისი) 0:1, პ. შაქარიანი (თბილისი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 1:0, თ. გიორგაძე (თბილისი) — ი. მანაშეროვი (ხაშური) 1:0, რ. დადიანი (სოხუმი) — ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, ა. ბუსლაევი (თბილისი) — გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) 0,5:0,5, ე. მიქაელიანი (თბილისი) — ლ. კერნოეიცკი (ბათუმი) 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: ნ. ჩახოიანი (თბილისი) — მ. არჩვაძე (სამტრედია), დ. ჯანოევი (თბილისი) — ზ. მიქაძე (გუდაუთა) და ე. უბილავა (თბილისი) — ა. რაზოვსკი (ქუთაისი).

გიორგაძის წინააღმდეგ მანაშეროვმა ფილიდორის დაცვა აირჩია, მაგრამ პოზიცია ვერ გაათანაბრა და თეთრებმა მეთოდური თამაშით პარტია მოგებამდე მიიყვანეს. ბალავაძემ აზარტულად ითამაშა გედევანიშვილთან, დიდი მატერიალური ზარალი განიცადა და 23-ე სვლაზე დანებდა. დადიანი და ტუზოვსკი ზედმეტ რისკს მოერიდნენ და რთულ პოზიციაში სვლების გაცვლა დაიწყეს. შაქარიან — ნეურონოვის პარტიაში შავებმა დებიუტშივე პაიკი შესწირეს, სამაგიეროდ კი ვერაფერი მიიღეს. მიქაელიანი პარტიის ბოლომდე ინარჩუნებდა უპირატესობას, მაგრამ გამორჩა კერნოეიცკის კომბინაცია, რის შემდეგაც ყაიმი გარდუვალი გამოდგა.

IV ტური: გედევანიშვილი — დადიანი 0:1, ტუზოვსკი — ჩახოიანი 1:0, ნეურონოვი—კერნოეიცკი 1:0, არჩვაძე — ჯანოევი 0:1, შაქარიანი — ბალავაძე 0,5:0,5, რაზოვსკი — გიორგაძე 0,5:0,5, ბიბილაშვილი—მიქაელიანი 0,5:0,5. გადაიდო პარტიები: მიქაძე — უბილავა და მანაშეროვი — ბუსლაევი.

ამ ტურის წინ გედევანიშვილი შეჯიბრების ლიდერი იყო, მაგრამ დადიანი ამას როდი შეუშინდა. თეთრებმა მეტოქის ლაზიერის ფრთას შეუტიეს, ამასობაში დადიანმა მოამზადა იერიში გედევანიშვილის მეფეზე და ერთ მომენტში ლამაზად შესწირა პაიკი. აღების შემთხვევაში თეთრების პოზიცია ხუსულასავით ინგრეოდა. მათ ვერ მონახეს სწორი დაცვა და გარდაუვალი შამათის გამო დანებდნენ. ტუზოვსკისთან შეხვედრაში ჩახოიანი დებიუტშივე შეცდა, როქი დაკარგა, ძლიერი იერიშის ქვეშ მოექცა და დანებების ნიშნად საათი გააჩერა. ესპანურ პარტიაში გამოცდილმა ოსტატმა, თბილისის ჩემპიონმა ჯანოევმა კარგად გამოიყენა არჩვაძის მცირე უზუსტობანი ენდშპილში, პაიკი ბოიგო და ფიგურის დაკარგვის მუქარის გამო თეთრები დანებდნენ. სიცილიური დაცვის წინააღმდეგ ნეურონოვმა ძლიერი იერიში წამოიწყო: კერნოეიცკის შესწირა ჯერ პაიკი და შემდეგ ფიგურაც. კერნოეიცკიმ უკეთესის მოლოდინში უკან დაუბრუნა შეწირული, მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა, ნეურონოვმა პარტიის დასკვნითი ნაწილი ჩინებულად ჩაატარა. ბიბილაშვილ — მიქაელიანის პარტიაში ბევრს შეეძლოთ ხარისხის მოგება, მაგრამ, როგორც ანალიზმა უჩვენა, ეს მათთვის სახიფათო შეიძლება გამომდგარიყო და ამიტომ ყაიმს დასჯერდნენ. მიქაძე — უბილავას პარტიის დასაწყისი სამშვიდობო ჩანდა, მაგრამ მეტოქეებს ეს ამბავი ხელს არ აძლევდა და ამიტომ გართულებები არჩიეს. შუა თამაშში ლამაზი ტაქტიკური დარტყმით მიქაძემ ხარისხი მოიგო. მართალია, გადადებულ პოზიციაში მიქაძე მატერიალურ უპირატესობას ინარჩუნებს, მაგრამ მისი რეალიზაცია დიდ ტექნიკურ სიძნელეებთანაა დაკავშირებული.

4 ტურის შემდეგ ტურნირის ერთპიროვნული ლიდერია დადიანი — 3 ქულა. 2,5-2,5 ქულა დაუგროვდათ გედევანიშვილსა და გიორგაძეს, ოდონდ ამ უკანასკნელს ერთი პარტია გადადებული აქვს.

ა. გლაგიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
ა. ცეხანელი.

საჰაერო მოთხილამურეები

სიმაჰაციით მათ საპლანერო სპორტის პიონერებს ადარებენ.

სისინი თხილამურებზე დგებიან და ალუმინის ღეროებზე დამაგრებული ნეილონის ქსოვილისგან გაკეთებული უშარმაჩარი ფრანის მეშვეობით მაღალმთიან ნათხილამურევზე ჯერ აფრენისთვის საჭირო სიჩქარეს — საათში 45 კმ-ს ავითარებენ, მერე კი მიწას მოსწყდებიან და ჩიტებივით დაფრინავენ ჰაერში.

ფრენის მიმართულებას და სხეულის მდგომარეობას სპორტსმენები საგანგებო ტრაპეციით არეგულირებენ.

საფრანგეთის ალპებში ბილ ბონესა და იანის ტომასს საჰაერო მოთხილამურეებს ეძახიან. სპორტსმენებმა „მთებზე სტომის" ტექნიკა ერთად აითვისეს, ერთად დაამუშავეს თავიანთი პლანერების მოწყობილობაც, რომელთაგანაც თითოეული 22 კგ-ს იწონის.

მოთხილამურეთა ბოლო სტარტია მწვერვალი, რომელიც ზღვის დონიდან 2100 მეტრზე მდებარეობს. თავისუფალი ფრენის ხანგრძლივობის რეკორდი ტომასს ეკუთვნის და 15 წუთს უდრის.

შემდეგი ზღვარი, რომლის გადალახვასაც „საჰაერო მოთხილამურეები" აპირებენ, 3500-მეტრიანი თეთრი პიკია.

სურათზე: ი. ტომასი ფრენის დროს.

საკდესის ფოტო.



ზეელერი ფეხბურთს გამოეთხოვა

ჩვენ უკვე ვიტყობინებოდით, რომ გამოჩენილი გერმანელი ფეხბურთელი უვე ზეელერი ფეხბურთს ეთხოვება. მისი ეს გამოსათხოვარი მატჩი შედგა კიდევ ამ დღეებში ჰამბურგში.

უ. ზეელერი 20 წლის განმავლობაში გამოდიოდა აქაურ კლუბ „ჰამბურგში" და ბევრჯერ უთამაშია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების შემადგენლობაში.

36 წლის ვეტერანის გამოსათხოვარ მატჩში „ჰამბურგი" შეხვდა ვარსკვლავებისგან შედგენილ საერთაშორისო ნაკრებს. ეს მატჩი ნაკრებმა მოიგო — 7:3. გამარჯვებული გუნდიდან ბურთები გაიტანეს ბეკენბაუერმა, ბენემ, მიულერმა, ჰერსტმა, ბესტმა, მესეიმ და ეუსებიომ. ორი საბასუხო ბურთი გაიტანა ზეელერმა და ერთიც — ზაჩუკმა.

მოგვყავს ვარსკვლავთა ნაკრებში მოთამაშეთა სია: ბენქსი (ინგლისი), მაიერი (გფრ), ჯემელი (შოტლანდია), შნელინგერი, ბეკენბაუერი (ორივე — გფრ), მური (ინგლისი), რივერა (იტალია), ბენე (უნგრეთი), რ. ჩარლტონი (ინგლისი), მიულერი (გფრ), ჰერსტი (ინგლისი), ბესტი (ჩრდილოეთ ირლანდია), მესეი (უნგრეთი), ეუსებიო (პორტუგალია), ჯაჩი (იუგოსლავია).

მშვიდობის XXV საიუბილეო ველორბოლის გზებზე

ნელიუბინი II ადგილს ინარჩუნებს

8 მაისს მწვავე ბრძოლა გაჩაღდა მეოთხე ეტაპზე (ამერსლებენი — ერფურტი), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე გრძელია — 170 კმ. დისტანციის ნახევარი ველოსიპედისტებმა კომპაქტურ ჯგუფად განვლეს და მხოლოდ მაშინ გაიჭრნენ წინ კიმინიოველი ვ. ბელოუსოვი და დანიელი ტომი. მათ თანდათან უმატეს ტემპს, მაგრამ 122-ე კილომეტრზე გამართული საშუალედო ფინიშის შემდეგ ტომს აშკარა დაღლილობა დაეტყო და ჩამორჩა. ბელოუსოვი ეულად დარჩა და რა გასაკვირია, რომ 20 კილომეტრის შემდეგ 40 მრბოლელისგან შემდგარი ძირითადი ჯგუფი დაეწია.

გ. დმიტროვის სახელობის სტადიონზე ერფურტში პირველი შეიქრა ლენინგრადელი ვ. ნელიუბინი, მაგრამ ფინიშამდე სულ რაღაც 5 მეტრი რომ იყო დარჩენილი, მას ნახევარი თვალით გაუსწრო ლიდერის ყვითელ მაისურში გამოწყობილმა მ. მილდემ (გდრ). გამარჯვებულის დროა 4:00.15, ნელიუბინისა — 4:00.45 (ბონიფიკაციის ჩათვლით). III ადგილი დაიკავა პოლონელმა რ. შურკოვსკიმ. პირველ ათეულში შევიდნენ შემდეგი საბჭოთა ველოსიპედისტები: მოსკოველი ი. დმიტრიევი, კიმინიოველი ი. მოსკალიოვი და კუიბიშეველი ა. გუსიატნიკოვი.

გუნდურ ჩათვლაში კვლავ გრდ-ის ნაკრებმა აჯობა ყველას. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან სსრ კავშირისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

9 მაისს გაიმართა მეხუთე ეტაპი: ერფურტი — გერა (151 კმ). I ადგილი დაიკავა მშვიდობის ველორბოლის დებიუტანტმა კ.-ჰ. ობერფრანცმა (გდრ). ამ 20 წლის ბერლინელმა სამთო ეტაპზე საკმაოდ რთულ პირობებში (წვიმდა) შეძლო გაესწრო გამოცდილი მრბოლელებისთვის — პოლონელი ზ. კშშოვიცისთვის და ა. ბარტონიჩეკისთვის (ჩეხოსლოვაკია). გამარჯვებულის დროა 3.46.05 (ბონიფიკაციის ჩათვლით).

საბჭოთა მრბოლელთაგან ყველაზე კარგად იასპარეზა ბელოუსოვმა (VI ადგილი), რომელმაც ისევითვე დრო აჩვენა, როგორიც გამარჯვებულმა.

ამრიგად, უკან დარჩა 5 ეტაპი — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გზებზე განვლილი 614 კმ, რაც მშვიდობის ველორბოლის დისტანციის ერთი მესამედია. ლიდერის ყვითელ მაისურს მილდე ინარჩუნებს — 14:16.17. II ადგილზეა ნელიუბინი, რომელიც გერმანელს წუთითა და 13 წამით ჩამორჩება. III ადგილი უკავია კშშოვიცს — 14:17.33.

გუნდურ ჩათვლაში საუკეთესო დრო აქვს გდრ-ის ნაკრებს. II ადგილზეა სსრ კავშირის კოლექტივი, რომელიც ლიდერს 2 წუთითა და 25 წამით ჩამორჩება. კშშოვიცისა და მშვიდობის ველორბოლაში ორგზის გამარჯვებულის შურკოვსკის (მან საუკეთესო სამთო მრბოლელის მწვანე მაისური ჩაიცვა) მეოხებით III ადგილზე გავიდნენ პოლონელები — 42:56.23 (4 ეტაპის ჯამში ამ ადგილზე უნგრელები იყვნენ).

პირად ჩათვლაში პირველ ოცეულში შედიან შემდეგი საბჭოთა მრბოლელები: ბელოუსოვი (VIII ადგილი — 14:18.27), მოსკალიოვი (X — 14:18.35), დმიტრიევი (XVIII — 14:19.02) და მოსკოვის ოლქის წარმომადგენელი ნ. გორელოვი (XIX — 14:19.03).

10 მაისს მშვიდობის ველორბოლის მონაწილენი გერმანიიდან ისვენებდნენ, დღეს კი ჩეხოსლოვაკიისკენ მიმავალ გზას დაადგებიან: მეექვსე ეტაპის ფინიში კარლოვი ვარში გაიმართება.

102 მრბოლელიდან, რომლებმაც 5 მაისს ბერლინში აიღეს სტარტი, შეჯიბრებას 96 კაცი აგრძელებს.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისის სპორტულ ბაზებზე

ჰადრაკი. რესპუბლიკური საჰადრაკო ცენტრალური კლუბი. საქართველოს ვაჟთა პირველობა. 11 მაისი: V ტური, 12 მაისი: VI ტური. დასაწყისი 17 ს.